

# მწეჴმსი

1888-1889

«მწეჴმსი» გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის თხუთმეტს და ოც-და-ათ რიცხვებში.

### გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი :

«მწეჴმსი»		«მწეჴმსი» რუსული გამოცემით	
12 თთვით . . . . .	5 მან.	12 თთვით . . . . .	6 მან.
6 — . . . . .	3 —	6 — . . . . .	4 —

გაზეთის ფურცლს და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: ვა. Куряны, Вх контору редакцiji „Мѣмесѣи“ (Пастыр).

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდავთ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელმოწერილნი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.


სტატია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაბრუნოს. სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზე დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

ნასწავლ ზნითა მღვდლებით დანიშვნა მიუცხადებლად ითხოვს მწეჴმსიდან, რამ მით ვრცელთ ეკლესიაებთან რაგანა შენობები გაუკეთონ.

ღღმდის ჩვენ სემინარიელებს ძალიან ეძინებოდათ სოფლებში მღვდლად წასვლა. ამის ერთი მიზეზი ის იყო, რომ ბევრი მათგანი ადვილად შობდა მასწავლებლობის და აღმზრდელების ადგილებს ჩვენს სასულიერო ოთხ-კლასიან სასწავლებლებში, სადაც თითოეული მათგანი 500-700 მანეთს იღებდა წელიწადში. მაგრამ 1879 წ. დრო შეიცვალა. გამოვიდა უწყმიდესი სინოდის უქაზი, რომლის ძალით ჩვენს ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლებში მასწავლებლად უნდა მიეღოთ სასულიერო აკადემიაში სწავლა დამთავრებულნი პირნი. ამის გამო სემინარიელები ისე ადვილად ვეღარ შობდნენ მასწავლებლობას ოთხ-კლასიან სასწავლებლებში, როგორც წინეთ და მღვდლად წასვლასაც ვერ ბედავდნენ,

რადგან სამღვდლოების მდგომარეობა ნიეთიერის მხრით ძალიან ცუდს მდგომარეობაში იყო. მაგრამ დღეს დრო შეიცვალა: სამღვდლოების მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდა, ამასთან მღვდლებს დაენიშნათ, თუმცა ცოტა, მაგრამ მუდმივი ჯამაგირები. სამღვდლოების მდგომარეობის ნიეთიერად გაუმჯობესობამ გაამხნევა ჩვენი სემინარიელები, რომლებიც დღეს სიხარულით მიდიან სოფლებში მღვდლად.

ახლოა ის დროც, როდესაც ჩვენს სასულიერო აკადემიებში სწავლა დამთავრებულნი პირნიც სიხარულით წავლენ მღვდლად არა მარტო ქალაქის ეკლესიებში, არამედ სოფლის სამრევლოებშიაც. ღღმდის სასულიერო მართებლობა თერთონ საჭიროებდა ასეთ ნასწავლ პირებს და მათ ნებას არ აძლევდა სხვა უწყებაში გადასვლას, სანამ სავალდებულო სამსახურის ვადას არ შეასრულებდნენ სასულიერო უწყებაში. იმ აკადემიელებს, რომლებიც აკადემიაში სავალდებულო ხარჯით იზრდებოდნენ, კუროსის შესრულების შემდეგ უსათუოდ





ოთხი წელიწადი უნდა ემსახურათ სასულიერო უწყებაში და ან 700-800 მანეთი უნდა გადაეხადათ აკადემიის სასარგებლოდ. ღღეს აკადემიებში სწავლა დამთავრებულნი პირნი მეტად გამრავლდნენ. შოველ წელს რუსეთის ოთხს აკადემიაში უკანასკნელი 120 კაცი ათავებს სწავლას. ამიტომ უმეტესი ნაწილი ამ ახალ-გაზღვებისა ორი-სამი წელიწადი რჩება უადგილოდ, რადგან სასულიერო უწყებაში ყველასათვის არ იშოვება თავისუფალი ადგილი. სხვა უწყებაშიაც არ შეეძლოთ გადასვლა და ამიტომ ისინი ისევ თავიანთი მშობლები სარჩენად ხდებოდნენ. ღღეს უშიდესი სინოდი შევიდა აკადემიაში კურს შესრულებულ პირთა მდგომარეობაში და ნება მისცა მათ აკადემიაში კურსის შესრულების შემდეგ სხვა უწყებაში გადასვლისა და სამსახურისა ფულების გადაუხდებოდა.

სემინარიელების და საზოგადოდ ნასწავლი პირების სოფლებში მღვდლად წასვლა შესცვლის ჩვენში ერთს დიდს ხნიდგან არსებულ წეს-წყობილებას, რომლის შეცვლა მრევლთაგან მოითხოვს ცოტადნ ხარჯს და გამჭირახობას. თვითეულმა ჩვენგანმა იცის, რომ ამ ბოლო დრომდე როგორც ჩვენს საქართველოში, ისე რუსეთში მღვდლებად უმეტესად ინიშნებოდნენ მცხოვრებნი იმავე სოფლებისა, სადაც მღვდლის ადგილი ცლებოდა ეკლესიაზე. ზადაცვალელებული ან შტატ გარეთ დათხოვნილი მღვდლის ადგილზე ინიშნებოდა ან იმავე მღვდლის შვილი, ან მისი მახლობელი მონათესავე და ან იმავე ეკლესიის რომელიმე მედავითნე. ჩვენს საქართველოში ას სამრევლოში მღვდლებად, გარდა ათიოდ პირისა, სუყველანი ადგილობითი სოფლების მცხოვრებნი არიან.

ამ წეს-წყობილებას ბევრი კარგი და ცუდი შედეგები ჰქონდა და აქვს. ადგილობითი სოფლის მცხოვრებელის მღვდლად ყოფნა სამრევლოს არ აწუხებდა საეკლესიო ბინების გაკეთებისათვის და ამიტომ სამწყსო ადვილად ინახვდა სამღვდლო და საეკლესიო მოსამსახურეთა. რაცუნდა მცირე შემოსავალი ჰქონებოდა მღვდელს სამრევლოსაგან, იგი მაინც ილაღად მიდიოდა, რადგან მისი საკუთარი სახლ-კარი და ადგილ-მამულის შემოსავალი ღიდ შემწყობას აძ-

ლედა მას. მღვდელს თავის სოფლიდამ სხვა უცხო სამრევლოში გადასვლა თანამდებობიდან დათხოვნის მზგავსად მიაჩნდა. ამიტომ ჩვენი მღვდლები ძალიან იშვიათად თხოულობდნენ ერთი სამრევლოდამ მეორეში გადასვლას. მღვდლები დამკვიდრებულნი იყვნენ თავიანთ სამრევლოებში. ამისათვის ყველანი გაფრთხილებულნი იყვნენ და არიან, რომ თავიანთი მოვალეობა მტკიცედ აღასრულონ და მიხვნი არ მისცენ სასულიერო მთავრობას სხვა სამრევლოში გადაყვანისა. სკვდილის შემდეგ ჩვენს მღვდლებს თავიანთი ცოლ შვილი ისე უბედურად და უნუგეზოდ არა რჩებოდა და არც ღღეს რჩება, როგორც ეს ხდება რუსეთში, სადაც მღვდლების და მედავითნეთა ქვრივობოლნი საკუთარი ადგილ-მამულის უმეკონელობისა გამო უნუგეზო მდგომარეობაში ვარდებიან. თუმცა ჩვენში ღღემდის არ ყოფილხ არც სამხრუნველოები და არც ემერიტარული კასები სამღვდლოების ქრიეთა და ობოლთა შესაწვენელად, მაგრამ ზემოთ აღნიშნული წეს-წყობილების მეოხებით მღვდლის ვარდაცვალეების შემდეგ მისი ქვრივობოლნი შიმშილით არ მომკვდარან. არ ვიტყვი, რომ ჩვენშიაც აქა-იქ არ იყვნენ ძლიერ გაჭირვებულნი სამღვდლოების ქვრივნი და ობოლნი, მაგრამ უმეტესი მათგანი გაჭირვებაში არის შთაფარდნილი თავისი ზარმაცობით, უგუნური ცხოვრებით და მოუჭირნელობით. ჩვენ ვიცნობთ მრავალ პირთა, რომელთაც ღიდი სიმდიდრე ღარჩათ, მაგრამ უგუნურობით და ცუდი ცხოვრებით ეს სიმდიდრე გაფლანგეს და ბოლოს ღროს გაჭირვებულად ღარჩნენ. ამისთანა პირებს მიეცი, რამდენიც გინდათ, მათ მაინც ვერ დააკმაყოფილებთ...

მხლა აღნიშნოთ ზემოთ მოხსენებული წეს-წყობილების ცუდი მხარეებიც. სამრევლოზედ არასოდეს არა აქვს იმავე სოფლის მცხოვრებ მღვდელს ის გავლენა, რომლითაც იგი უნდა იყოს აღჭურვალი. როგორც მისივე სოფლის მცხოვრებთაგანი სამრევლოს თითოეულმა წევრმა იცის თავისი მღვდლის ყველა ნაკლებეანება, ამისათვის ამისთანა მღვდლის სიტყვა-მოძღვრებას არავითარი გავლენა არა აქვს მრევლზედ. ასეთი მღვდელიც ყურადღებას არ აქცევს



თავიანთი მეზობლების ნაკლულევენებას, რომ ამით მრევლი არ აჩივლოს თავის წინააღმდეგ. ამისათვის სწავლა თავაშეებულება: წირვის და სხვა მღვდელ-მოქმედების დროს ერთი ხრიალი და ლაპარაკია ეკლესიაში; ხშირად მღვდელი ტრაპეზიდან გამოდის, ეხვეწება მლოცველებს, რომ იგინი დაწყნარდნ და წირვა გაათავებინონ, მაგრამ მღვდლის თხოვნას და მის მუქარას არავითარი გავლენა და ზედ-მოქმედება არა აქვს სამრევლოზედ. ამისთანა უწყისობა ერთი-ორად მეტია იმ სამრევლოში, სადაც ერთ ეკლესიაში ორი და სამი მღვდელია დანიშნული ერთი და იგივე სოფლის მცხოვრებთაგან. თვითოეული მათგანი სკდილობს სამწყსოთა ყურადღების დამსახურებას მიფერებით და სამწყსოს ნაკლულევენებათა დაფარვით. აქ ერთი მღვდელი თავის მოვალეობის მტკიცედ აღსრულებით და სამრევლოთა ნაკლულევენების მხილებით სრულებით გადაიმტკრებს თავის სამწყსოს. რასაკვირველია, ყველა მღვდლებზედ, რომელნიც თავიანთ სოფლის სამრევლოებში ემსახურებიან, არ ითქმის ეს. მათში ბევრი ისეთებიც არიან, რომელთაც თავისი თავი რიგიანად უკავიათ და მრევლზედაც სალი-მოვნო გავლენა აქვთ, მაგრამ ამისთანა პირები ძლიერ ცოტანი არიან.

დღეს, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ახალი წესი შემოდის: მღვდლის თავისუფალ ადგილებზედ მღვდლებად სასულიერო მთავრობა იწოდებს ნაწილ პირებს. ეს ნაწილელი პირები, საიღამაც უნდა იყენენ იგინი, სულ ერთია სასულიერო მართებლობისათვის. ამისათვის დღეიდგან უმეტესად მღვდლებად დანიშნებიან სოფლებში სამრევლოთათვის უცხო პირები. ბევრს ადგილას სამრევლონი დღეს მიჩვეულნი არიან თავიანთ სოფლის მცხოვრებ მღვდლებს, რომელნიც ნაცვლად მისა რომ სამრევლოთაგან მოეთხოვათ თავისი საზრდო, პირიქით თვითონ იგინი აძლევდნ ზოგიერთებს საჩუქრებს. ამიტომ პირველად სამრევლოთა ეუცხოებათ, როდესაც სხვა სოფლიდან მოსული მღვდლები მოითხოვენ მათგან რიგიანად შენახვას და სხვა ნაირად მოქცევას, მაგრამ ნაცვლად სამრევლო-მაც უნდა დაათასოს მათი სწავლა და ღირსება.

მთელს საქართველოში სოფლის სამღვდლოება სრულებით მოკლებულია საეკლესიო ბინებს. არც ერთ ადგილას, გარდა სამი-ოთხი ადგილისა, მთელს საქართველოში მრევლს არ აქვს რიგიანი ბინა სამღვდლო და საეკლესიო მოსამსახურეთათვის, და თუ არი სადმე ასეთი ბინა, ისიც აგებულია საეკლესიო ფულით და არა მრევლთაგან. ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ ორ-სამ სამრევლოში სემინარიელები არ წავიდნენ მღვდლად იმის გამო, რომ მღვდლისათვის აღნიშნულ სამრევლოებში საეკლესიო ბინა არ იყო, როგორც ეს განცხადებდგან სჩანდა. ამის გამო ამ სამრევლოებში წავიდნენ მღვდლად უსწავლელნი. მიუცილებლად საჭიროა, რომ ყველგან მრევლთა მოიფიქრონ ამ ფრიად საჭირო საგანზედ და სამრევლოში დაარსონ რიგიანი ბინები სამღვდლო და საეკლესიო მოსამსახურეთათვის.

ეს საქმე არც ისე საძნელო აღსასრულებელია, როგორც პირველად ეჩვენება იგი კაცს. მართალია, ბევრჯერ გამოუცხადებიათ მრევლისათვის, რომ მღვდლებს სახლები გაუკეთეთ ეკლესიებზე, ან სადმე შუა სამრევლოშია, მაგრამ საქმე მართა ამ გამოცხადებით გათავებულა: და მართა გამოცხადებით რომ საქმე კეთდებოდეს, რას არ გამოაცხადებდა კაცი! მაგრამ მართა ერთი გამოცხადება როდი კმარა საქმის სისრულეში მოყვანისათვის. საზოგადოებამ სრულებით არ იცის, თუ როგორი უნდა იყოს ეს საეკლესიო სადგომები. ზოგს ჰგონია, რომ მღვდლებისათვის დიდი სასახლები ითხოვებოდეს, ზოგს ჰგონია, რომ მღვდლებისათვის მართა პატარა სენაკები იყოს საკმაო და პასუხათ იძლევიან: «სენაკები გვაქვს ეკლესიებზედ და თუ სურს მღვდელს, მოვიდეს და დადგეს მასში».

აბა ვიკითხოთ, შეადგინეს და უჩვენეს მრევლს თუ არა ასეთ შენობათა გეგმები? უჩვენეს და გამოუჩინებინეს თუ არა, მიხლოვებით მაინც, ასეთ შენობათა აგებისათვის საჭირო ხარჯი? მიიღეს თუ არა რაიმე ზომა ამ საქმის დასაგვირგვინებლად ან ბლოლოჩინებმა ან მაზრის უფროსებმა და ან სოფლის მოხელეებმა? სრულებით არაფერი. ამიტომ არც არაფერი აღშენებულა...

ჩვენის აზრით საქიროა შედგეს, როკორც ქეიტ-კირისა, ისე ხის შენობათა ორ-ნაირი გეგმა. მითო-ული ბინა უნდა შესდგებოდეს სამი ოთახისაგან და ერთი სამზარეულოსაგან. დაწვრილებით მოყვანილი უნდა იყოს ისიც, თუ რამდენი ხე-ტყე წავა ხის შენობაზე და ქეიტკირისაზედ—რამდენი ქვა, სილა, კირი, ფიცარი და სხვა მასალა. ამ გეგმების პირები უნდა დაურიგდეს ბლალოჩინებს, რომელთაც ვალად უნდა დაედგინოსთ პოლიციის მხრით რომელიმე მოსამსახურის თანადა! წრებით მისცენ წინადადება მრეველთა ამ შენობათა აგების შესახებ. შეაგონონ მრეველნი, რომ ის ხარჯი, რომელიც ამ შენობათათვის მოითხოვება, დიდს არას შეადგენს მთელი სამრეველოსათვის, განსაკუთრებით იქ, სადაც სამრეველო შესდგება ორასი და მეტი კომლისაგან.

ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ სამწყსონი გულით მოინდომებენ და თანაგრძნობით მიიღებენ ამ წინადადებათა. ზოგიერთ ადგილას ძლიერ იაფია ხე-ტყის საშენებელი მასალა. ზოგიერთ ადგილას ქეიტკირის აშენება მუქთად ჯდება. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენ ხელს გვიშლის, ყველაფერში გვაბრკოლებს და წინ გველობება ჩვენივე დაუდევნელობა, ჩვენივე სიძაბუნე და მოუნდომლობა ყოველ მეთაურობაში; ყოველივე კეთილი საქმის ასრულებაში ხელს გვიშლის ნიადაგი ფიქრი და ცდილობა მხოლოდ მასზედ, რაც პირადათ მარტო ჩვენთვისაა სასარგებლო. დასაჯერი არ არის ზოგიერთ პირთა აზრი, რომელნიც ამტყებენ, რომ ჩვენს ხალხს გული გაუგრილდა ყველაფერ საეკლესიო და სამღვდლო საქმეებზედო. არა; ხალხს კი არა და ჩვენ კი, მართალი რომ ვსთქვათ, გაგვიგრილდა გული საეკლესიო საქმეებზედ. იქნება ვინმემ გვკითხოს: «თქვენ მხოლოდ სიტყვით ამბობთ და საქმით კი ვერ აღასრულებთო». არა; საქმითაც ვა მოვსცადეთ და დაერწმუნდით, რომ ჩვენ მეცადინეობაზედ და გამჭირახობაზედ არის დამოკიდებული ამისთანა საქმეების აღსრულება. სამრეველონი მხად არიან ყველაფერი მასალა უფულოდ მოიტანონ და მუქთად იმუშაონ, თუ ჩვენ წინ წაუძღვებით. სამწყ-

სონი ისე შეუფნებელნი არ არიან, რომ თავიანთ მოძღვრებზედ არ იზრუნონ და იგინი რიგიანად არ დააბინაონ.

ბაიხედ-გამოიხედეთ საქართველოში, აათვალიადათვალიერეთ ქალაქებში და სოფლებში ყველაღასარების ქრისტიანეთა ეკლესიები. მისი წყალობით და ვისი ჩაგონებით არის ჩვენს ქალაქ თბილისში სომხების და ფრანგების ეკლესიებთან აგებული მშენიერი სადგომები სკოლებისა და მღვდლებისათვის! დაათვალიერეთ ქუთაისი. მისი მთაგონებით და ვისი წინამძღოლობით არიან აგებულნი ორ-სამ სართულიანი მშენიერი შენობები სომხის და ფრანგის ეკლესიებთან კრებულთა და სკოლებისათვის. ამავე ადგილზე მართლ-მადიდებელთა ეკლესიები, გარდა ერთისა, მოკლებულნი არიან არათუ შენობას კრებულთა და სამრეველო სკოლათათვის, არამედ უბრალო გალავანსაცა. სურამში, მართველების ქალაქში სომხის მშენიერ ეკლესიასთან რიგიანი შენობებაა კრებულისა და სკოლისათვის, ხოლო პაწაწინა, ძველდა უბლანო მართლ-მადიდებელ ეკლესიასთან არა თუ შენობები არ არაა, არამედ გაფუჭებული სახურავი და მანქანებისა წყალმა ლამის ეს ეკლესია დააქციოს!

სამწყურბროდ, ჩვენ მხოლოდ ჩვენი საკუთარი ბინის აშენებაზედ უფრო ვცდილობთ და საზოგადო საქმეზედ ზრუნვას შემდეგ თაობას ვავალდებთ. შეგვადგვი თაობაც ჩვენსაებრ იქცევა და ამიტომაც არის რომ არაფერი არ კეთდება. ჩვენი დაუდევნელობით და უცოდინარობით საქმე ვერ გაგვიკეთებია და სამრეველოს გულ-გრილობას მივაწერთ ყველაფერს. ღრო შეიცვალა. ღროის მოთხოვნისაებრ ჩვენგან სულ სხვა მუყიათობა, მეტი გამჭირახობა და მეტი ენერგია ითხოვება. ღროს შეცვლას ნამეტანი ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ მწყემსნი სამწყსონთა უკან არ ჩამოვრჩეთ.

ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ მის მალალ ყოვლად უსამღვდლოესობა საქართველოს ექსარხოსი, მთავარ-ეპისკოპოსი პალლადი, რომელიც ნიადაგ ზრუნავს ჩვენი სამღვდლოების მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის თავის განათლებულ ყუ-



რადლებას მიაქცევს ამ ყოველად შესანიშნავ გარემოე-  
ბას და მიიღებს ჯეროვან ზომებს მღვდლების რიგია-  
ნად სამრევლოში დაბნაეებისათვის. ჩვენ, როგორც  
ვიცით, სხვა მრავალ მისი მეუფების კეთილ განზრახ-  
ვათა შორის ეს მიუცილებელი კითხვაც არის აღნიშ-  
ნული.

დეკ. დავით დამბაშიძე.

ჟეოგრაფიის ალზრდა კრისტ მს სწავლისათვის \*).

ნეტა იმ მშობლებს, რომელნიც თავის შვი-  
ლებს ზრდიან ქრისტიანულად! ნეტავ იმ საზოგადოე-  
ბასა, რომელიც ახალ-თაობას ზრდის წმ. სახარების  
მალალი ლეთაებრივი სწავლა-მოდღერების ხელ-მძღვა-  
ნელობით! ღედა-მიწაზედ უმაღლეს ბედნიერებას მა-  
მისათვის შეადგენს შვილი, შემკული კეთილის  
ზნობითა და სულის მალალი თვისებაებითა; და ღე-  
დისთვისაც უმეტესი ბედნიერება ნეტავი რაა, თუ არა  
შვილი, აღზრდილი ჭეშმარიტ ქრისტიანულს სწავლა-  
მოდღერებაში. მსეთი შვილებია მათთვის უდიდესი  
ბედნიერება, ისინი შეადგენენ მშობელთათვის უშრეტს  
წყაროს უტკბეს იმედთა და მოლოდინთა. ღიან, სა-  
სიხარულოა მშობელთათვის, როდესაც ისინი ხედვენ,  
რომ მათი შრომა შვილების ქრისტიანულად აღზრდი-  
სათვის ჯეროვანად დაგვირგენდა, რომ კეთილმა  
თესლმა, რომელიც მათ დასთესეს თავიანთ ნორჩ  
შვილთა გულში, გამოიღო კეთილი ნაყოფი, რომ  
მათმა ზრუნვამ ფუჭად არ ჩაიარა. შრომას იმედიც  
თან დაჰყვება; გამარჯვებული შრომა შობს  
შეებასა და სიხარულსა. თქვენ, მშობელნო, უკვე  
დასდევით ღეაწლი შვილების აღზრდისათვის და აწ  
აჰა დასტკბით თქვენი ღეაწლის კეთილი ნაყოფით.  
თქვენი შვილები აღესილნი არიან თქვენდამი პატი-  
ვის ცემით; მცნება უფლისა: პატივ ეც მამასა შენსა  
და ღედასა შენსა (ეფეს. 6, 1—3), სიამოვნებით  
შეუთვისებია მათ გულს; სამაგიეროდ ისინიც ამის  
ჯილოდო დაიმკვიდრებენ უფლისაგან კეთილ-ღეღობასა

და ღეღერძელობას. დასტკბით მათი ბედნიერის  
ცხოვრებით. თქვენ აღზარდეთ შვილები შიშსა შინა  
უფლისასა, და აჰა თქვენი შვილები არა თუ არ გა-  
ნარისხებენ ღმერთსა, არამედ წყნარ, მშვიდ და გულ-  
წრფელ არიან თქვენ წინაშეც, მათგან თქვენ ვერ  
გაიგონებთ ვერც ერთს საწყენ სიტყვას, ვერ შეამჩ-  
ნეთ მათში ვერც ერთს ცუდს საქციელს. ისინი არ  
გაფრან იმ ბავშვებს, რომელთაც ამხილებს ისო  
ზირაქი: წამეთუ ვინაიღან მგმაზარნი დამტკევებელი  
მამისა და წყუელ უფლისა მიერ განმარისსებელი დედისა  
თვისისა (ისო ზირაქ. 3, 16). კეთილად აღზრდილი  
ბავშვები ღიდის ყურადღებით ისმენენ და ასრულე-  
ბენ ყოველივე დარიგებას და შეკარებას მშობლები-  
საგან, გულ-მოადგინეთ ასრულებენ ყოველიფერს,  
რასაც კი უბრძანებენ მათ, მოთმინებით აიტანენ, რაც  
კი რამ გაჭირვება დაადგებათ. რა სიკეთე გნებავსთ,  
რომ არ გამოვიდეს ყმაწვილისაგან, რომელსაც სული  
და გული ესრედ აღზრდილი და გაწრთენილი აქეს?  
მსეთი ბავშვები სასიამოვნონი არიან როგორც ღეთი-  
სათვის, ისე კაცთათვის; მით უმეტეს სასიამოვნოა  
თქვენთვის, მშობელნო, ასეთი შვილების ცქერა.  
ჭეშმარიტად ბედნიერი არიან ის მშობელნი, რომ-  
ელთაც ესეთი შვილები ჰყავსთ! კეთილად აღზრდი-  
ლი შვილები არ დაგტოვებენ თქვენ, რაც უნდა  
გაჭირვებაში ჩავარდეთ. თქვენს ცხოვრებაში, თუ  
დაღარიბდით, ან მოხუცდით, — ვინ შეგიმსუბუქებთ  
თქვენს მწუხარებას, ვინ გაიზიარებს თქვენ დარდს,  
ვის გაანდობთ თქვენი გულის პასუხს, თუ არა თქვენს  
მორჩილსა და პატივის-მცემელს ვაჟს ან ქალსა.  
ისინი შეგიმსუბუქებენ თქვენს გაჭირვებას, განუგე-  
შებენ თქვენ მწუხარებისა და უბედურების დროს;  
ამას მაწმობს თვით სოლომონ ბრძენიც, რომელიც  
იტყვის: «ქმან ბრძენმან ახარის მამასა, ხოლო ქე  
უგნური მწუხარებაა ღედისა» (იგავ. სოლომ. 10, 1).  
თქვენ ადრევე ეცადეთ და ნიეთიერად უზრუნველ  
ჰყავით თქვენი შვილები, რომ მათ თქვენი სიკვდი-  
ლის შემდეგ არ გასჭირვებოდათ ცხოვრება, არ დარ-  
ჩენილიყენენ უსახალ-კაროდ და უნუგეშოთ — და  
სამაგიეროდ თქვენც შეგიძლიათ გულდამშვიდებული  
მიაბაროთ ღმერთს თქვენი სული გარდაცვალების  
დროს. როდესაც მწუხარებით წარმოიდგენთ და მო-  
იგონებთ სიკვდილის ჟამს, — თქვენ შეგიძლიათ თავი  
ინუგეშოთ მით, რომ თქვენ აღზარდეთ თქვენი შვი-  
ლები ღეთის შიშში და ასწავეთ მათ მცნებანი ღეთი-

\*) ჩვენის აზრით, ურიგო არ იქნება, რომ მღვდლები  
ამ სტატიას ეკლესიებში წაუკითხავდენ ხალხს.

რედაქტორი.




სა. როცა ამ წუთის სოფელს დასტოვებთ, თქვენ შეგიძლიათ იმედი იქონიოთ, რომ აქ თქვენ არ დაგივიწყებენ თქვენი შვილები და მარადის ილოცვენ თქვენთვის და ამასთანავე კეთილად წარმართვენ თავის სულის ცხოვნების საქმესაც. მწუხარება თქვენს ცოლებზედ შეგიმსუბუქლებათ თქვენ, რადგან აქ გრჩებათ თქვენ შვილები, რომლებიც მუდამ ილოცვენ თქვენის სული-სათვის. მინ უფრო უმეტესი პატივით და სიყვარულით მიაბარებს მიწას თქვენ გვამს, თუ არა თქვენი კეთილად აღზრდილნი შვილნი? მინ უფრო მეჯითად და ერთგულებით აღასრულებს თქვენგან დასტოვებულს ანდერძთა, თუ არ კეთილად აღზრდილი ძე, მზგავსი ტობიას, ძისა ტოვიტისა, რომელსაც უანდერძებს მამა: «ოდეს მიიღოს ღმერთმან სული ჩემი, გვამი ჩემი დამარხე და პატივი გქონდეს დედისა შენისა ყოველსა დღესა ცხოვრებისა მისისა (ტობ. 4, 3). აბა ვინ უფრო ერთგულად და უმეტესად ილოცავს თქვენი სულის განსვენებისათვის იმ სოფელში თქვენს კეთილად და ქრისტიანულ სწავლა-მოძღვრებაში აღზრდილს შვილზე? ჭეშმარიტად ნეტარ არიან მშობელნი, რომელნიც თავიანთ შვილებს ზრდიან ნამდილ ქრისტიანებად?

მაგრამ მარტო მშობლები კი არ სტკებებიან ამ კეთილად აღზრდილის კეთილ ნაყოფთაგან. ბედნიერია ის საზოგადოება, რომლის წევრნი აღზრდილნი არიან ქრისტიანულს სათნოებასა შინა. მსრეთი აღზრდა აძლევს საზოგადოებას სხვა-და-სხვა მხრივ სასარგებლო წევრებს, იგი აძლევს მათ ერთგულ მოსამსახურეთა, რომელნიც ასრულებენ თავიანთ მოვალეობათა სინდისისა და სჯულისაებრ ღვთისა. ქრისტიანულად აღზრდილ კაცთა საზოგადოებაში წმიდად არის დაცული პატიოსნება, ერთგულება კანონისა, და ხელმწიფისა — და იქ არ აქვს ადგილი არც მზაკვრობას, არც ღალატობას, არც სხვა საზოგადოების კეთილდღეობისათვის მანებელ ბიწიერებათა. ქრისტიანული აღზრდა აძლევს საზოგადოებას თავდადებულ მოსამსახურეთა, რომელნიც არა მარტო იმისათვის აღასრულებენ თავიანთ მოვალეობათა, რომ მათ უბრძანებენ და ძალას ატანებენ, არამედ ღვთისა და კაცობრიობის სიყვარულისათვის, რადგან თვით აღზრდა მათი დამყარებულია ღვთისა და მოყვასთა სიყვარულზედ. ქრისტიანული აღზრდა გვაძლევს ჭეშმარიტად განათლებულ წევრთა, ვინაიდან ჭეშმარიტი სიბრძნე და განათლება შესაძლებელია მხო-

ლოდ მაშინ, როდესაც დამყარებულნი არიან იესო ქრისტეს სარწმუნოებაზედ. ქრისტიანული აღზრდა ამხადებს მშვიდ წევრთა; საზოგადოებრივი მყუდროება ირლგევა სიმშვიდის ნაკლებობისა გამო, სადაც არ არის სიმშვიდე საზოგადოების წევრთა შორის — იქ მუდამ არეულ დარეულობა, შუოთი და უთანხმოებაა. ხოლო ქრისტიანულად აღზრდილნი წევრნი დამყარებენ საზოგადოებაში თანხმობას და ამკიდრებენ საზოგადოებრივს კავშირს, რადგან თვითონ უჩვენებენ სხვებს ცხოველს მაგალითს სიმშვიდისა და თანხმობისას. ქრისტიანულ სათნოებაში აღზრდილთაგან გამოდინ მანუგეშებელნი კაცობრიობისა, საზოგადოების წევრნი, რომელნიც ქრისტიანულ სათნოებაში არიან აღზრდილნი, გული საესე აქვსთ კეთილის გრძნობებთა და სურვილებით. ყოველს კაცში ხედვენ მეგობარსა და ძმას. ბული მათი მუდამსაესეა სიბრალულით და სიყვარულით უბედურ და გაჭირვებულთადმი, რომელთაც სწვევიათ ან სიღარიბე, ან სიბერე და ან ავთ-მყოფობა, — და ყოველთვის მზად არიან მათთვის თავი დასდონ, ოღონ კი შეუმსუბუქონ მათ ტანჯვა და სიმძიმე ტვირთისა. მინ არ იცის, რომ უბედური კაცისათვის ერთი ნუგეშიანი სიტყვაც დიდად ღირს, — იგი თითქო უმცირებს მას უბედურობის სიმძიმეს; როგორც სიხარული უფრო გაცხოველდება და მატულობს, როცა სხვას გაუზიარებთ, აგრეთვე ჯავრიც მცირდება და მსუბუქდება სხვისი მონაწილეობისაგან.

მაშასადამე, მშობელნო, აღეზარდოთ შვილები ქრისტეს მიერ, ქრისტიანულს ზნეობაში და სათნოებაში. მათი აღზრდა გავგაბედნიერებს ჩვენცა და საზოგადოებასაც. მოყვასის სიყვარული და უბედურთა მდგომარეობაში მონაწილეობის მიღება შესამსუბუქებლათ მათ მძიმე ჯავრთა ან მწუხარებათა — ეს მაღალი ზნეობრივი თვისებანი უფრო ხშირად იპოვებიან იმ კაცებში, რომელნიც ყრმობიდანვე აღზრდილან ქრისტიანულს სათნოებაში და კეთილმსახურებაში.



«მწკმსი»-ს კორექტორი ნ. ალისუბნიძე.

(შორაშნის მაზრაში).

24 იანვარს სოფლის ალისუბნის და მახლობელი სოფლების მცხოვრებლებმა დიდის მწუხარებით მიიბარეს მიწას გვამი აწნაურის ბ. ნიკო ჩიკვაიძის მეუღლის მლისაბედისა. ოცდა ხუთი წელიწადია, რაც მე მღვლად ვარ ამ სოფელში და პირველად ვხედავ, რომ ასეთი დიდის მწუხარებით მიიბარებიო სთომელიმე მიცვალებულის გვამი მიწისათვის. განსვენებულის დაკრძავას სწუხდენ როგორც მისი მეუღლე, შეილები და ახლო ნათესაეები, ისე მათთან ერთად მგლოვდენ და მწარეს ცრემლით სტიროდენ გარეშე პირნიც, რომელთაც არავითარიმე ნათესაობა არა ჰქონდათ განსვენებულის ოჯახთან. ჰველანი გრძნობდენ, თუ რა აღამიანს ეთხოვებოდენ საუკუნოდ. მართლაც ღირსი იყო განსვენებული ასეთი სიყვარულისა და პატივისცემისა, რომელიც თავისი მშვენიერი ხასიათით დაიმსახურა მან ხალხში. განსვენებული თავის სიცოცხლეში იყო შემწე და მანუგეშებელი ღარიბთა, გაჭირვებულთა და ავად-მყოფთა. იგი მუდამ მზად იყო შემწეობა აღმოეჩინა ღარიბთათვის; როცა იგი გაიგედა, რომ ვინმე მისი სოფლელი ავად იყო, განსვენებული მაშინვე გაეშურებოდა მასთან, აძლევდა ღარიბებას როგორც ავად-მყოფს, ისე მის მშობლებს. ბევრ ავად-მყოფს უგზავნიდა ხოლმე განსვენებული თავის ოჯახიდან წამლებს უფასოდ. ამასთან ერთად განსვენებული იყო ნამდვილი დედა და მეოჯახე ქალი. მრავალ გლეხთა და აწნაურთაგან ხშირად გამოიგონია შემდეგი სიტყვები: «მუშაობა და ოჯახის წინ წაძლოლა გვასწავლა ჩვენ ბ. ნიკო ჩიკვაიძის მეუღლე მლისაბედის მაგალითთა». ბევრს ოჯახში გამოიგონია მამა კაცთაგან შემდეგი სიტყვები: «ქალი სწორეთ ისეთი უნდა, როგორც ნიკო ჩიკვაიძის მეუღლეა». განსვენებული თავის მეუღლესთან ერთად დიდ შემწეობას მაძლევდა მე თვითონ, რომ ხალხში მომესპო მრავალი ამოდ-მორწმუნებანი. ორივე ცოლ-ქმარი ხშირად ესწრებოდენ ხოლმე მიცვალებულის დასაფლავებაზე და ქირისუფალთ მუდამ ურჩევდენ, რომ მათ თავი დაენებებიათ მიცვალებულების დასაფლავების დროს უბრალო და დამღუბველი ხარჯებისათვის. იგინი ურჩევდენ ხალხს, რომ ამ უბრალო ხარჯის ფასი რამე

კეთილ საქმეზე მოეხმარათ. ღღეს ეს სიტყვები ბ. ნიკო ჩიკვაიძემ საქმით დაუმტკიცა თავის სოფლელებს. მან ოთხასი მანეთი შესწირა ამ სოფელში სამრევლო სკოლის დასაარსებლად. ამასთან ბ. ნიკო ჩიკვაიძემ შემდეგი რჩევა მიცა ალისუბნელებს: «ამ ფულებს ვსწირავ მე ჩემი მეუღლის სულის მოსახსენებლად, რათა ამ სოფელში დაარსდეს სამრევლო სკოლა, სადაც თქვენ შეილებს შეეძლოთ წერა-კითხვის და სარწმუნოების პირველ დასაწყის ჭეშმარიტებათა შესწავლა; აგრეთვე იმედი მაქვს, რომ ჩემი შეილებიც თავის დედის სახსოვრად შესწირვენ რასმეს ამავე სკოლის დასარგებლოდ. ამასთან კიდევ გირჩეთ მოსპოთ ყოველივე აღაპები, რომლების დროს აღარებელი ცხოველები იხოცება და უზომოდ იხარჯება ღვინო. მხოლოდ იმ ღვინის ფასი, რომელიც აღაპზე იხარჯება, შესწირეთ ხოლმე ამ კეთილს საქმეს. აქედგან შესდგება კაი ძალი თანხა, რომელიც დაენმარება სკოლის საქმეს».

ბ. ნიკო ჩიკვაიძემ შესწირული ოთხასი მანეთი ფული გადასკა ყოველად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსს ზაბრიელს.

იმედი გვაქვს, რომ ბ. ნიკო ჩიკვაიძის მოსაწონ მაგალითს მიმბაძველნი აღმოუჩნდებიან ხალხში.

მღვ. ივანე სალაძე.



საუბრა დედას უბნი ვხნა.

როგორც ყველგან, ისე ამ ჩვენ ზუგდიდის მაზრაშიაც ადგილობრივი სამღვდელოება, შეძლებისა და გვარად, ცდილობს, რომ ხალხი წნეობითად და გონებითად აღამაღლოს, გაავრცელოს მათში ქრისტიანული სწავლა-მოდერება, დაამკვიდროს ჭეშმარიტი სარწმუნოება და მოსპოს მათში ყოველივე ცუდი ჩვეულებანი, წინააღმდეგნი ძრისტეს სარწმუნოებისა, და ნივთიერად გამაღარიბებელი ხალხისა. სამღვდელოების ამ გვარი მოღვაწეობა უნაყოფოდ არ რჩება. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთნი საერო პირნი ისეთ მოქმედებას სჩადიან, რომ მათი საქციელი მნიშვნელობას უკარგავს სამღვდელოების მოღვა-



წიგნებს და ცუდ-ზედგაელენას ახდენს ხალხზე ზნეობრივის მხრივ. მრავალ ამ სამწუხარო მოვლენათაგან დაეხსენებოდა ერთს შემთხვევას, რომელმაც თავზარი დასცა მთელ ზუგდიდის მცხოვრებთ.

წარსულს 1888 წელში, ზუგდიდის მაზრის ერთ სოფელში მოხდა შემდეგი შემთხვევა: ერთმა ვინმე წარჩინებულმა პირმა ერთ კაცს მოუწათლა ვაჭი-შვილი და სულიერად დაუნათესავდა მის ოჯახს. მეორე წელს ამავე პირმა თავისი ნათლულის უფროსი და შვირთო ცოლად. ამ შემთხვევამ დიდათ გააკვირვა მთელი მაზრის მკვიდრნი, რადგანაც აქეთკენ სულიერი ნათესაობა ძლიერ მტკიცედ დაცულა ყველგან. სასიძომ მღვდელს სიხოვა ჯვარის დაწერა, მაგრამ მღვდელმა უარი უყო და მასთან მოახსენა, რომ უმაღლესი სასულიერო მართებლობის ნება-დაურთველად არ შემძლია ჯვარის-წერა. სანამ ეს საქმე უმაღლესი მთავრობის ყურამდის მიადრწევდა, ერთმა მღვდელმა, ადგილობრივი მღვდლის ნება-დაურთველად, კეთილინება ჯვარის დაწერა, რადგან მომეტებული სასყიდული მიიღო სასიძოსაგან. შემდეგ გვირგვინის კურთხევისა საქმე მიჩუმდა. ამ შემთხვევამ ისე წააქეზა ზოგიერთები, რომ ორ-სამ ადგილას განიზრახეს უფრო დაახლოებული სულიერი ნათესაეების შეუღლება; მაგ. შვილი ნიშნავს მამის ნათლულს, ძმა-ძმის ნათლულს და სხვ. და ესენი იმითი იმართლებენ თავს, რომ თუ ზემოთ აღნიშნული ჯვარის წერა უკანონო ყოფილიყო, ადგილობრივი სასულიერო მთავრობა მიაქცევდნო ყურადღებას. ამ გვარად არაერთ იცის, თუ რამდენად კანონიერი იყო პირველი ქორწინება და შეიძლება თუ არა, რომ შვილმა მამის ნათლული შვირთოს ცოლად, ან ძმამ ძმის ნათლული. ამ საეჭვო კითხვის განსამარტებლად მოვიტყევი თქვენი რედაქციისადმი და გთხოვთ განგვიმარტოთ ეს კითხვა\*).

ნ. მკოჯეაძე.



\*) შემდეგ ნომერში დაგვაგზავთ თქვენი პასუხის თხოვნას.

რედაქტორი.

კვირა დღის უქმობა.

არსად ისე მოწიწებით და კრძალვით არ უქმობენ კვირა დღეს, როგორც ინგლისში. ინგლისში, როგორც მოგეხსენებათ, ერთი უდიდესი და უმდიდრესთაგანი სახელმწიფოა ევროპაში. აქ ხალხი ძლიერ თავგამოდებულია ყოველიფრისათვის, რაცკი შეეხება მისს შინა თუ გარეშე ყოფა-ცხოვრებას. კვირა დღის უქმობის გამო ინგლისელი ხალხი დიდ ხანს დაობდა და ბჭობდა, საქირა თუ არა ეს დღე ვიუქმითო, ქერძო დავამ და აყალ-მაყალმა ამ კითხვის გამო თვით პარლამენტამდი მიახწია, ასე რომ ბოლოს მმართველობამ სამარადისოდ დაადგინა ამ დღის უქმობა დიდის მოწიწებით და კრძალვით. მთელს ინგლისში, ე. ი. დიდ ბრიტანიაშიაც და ირლანდიაშიაც ეს დღე უნდა იუქმონ საყოველთაოდ: არაერთარი საჯარო კართობა, ქეიფი, ღვინო, სვირნობა ამ დღეს არ უნდა მოხდეს არსად. ბოლოს მმართველობა მივიდა იქამდე, რომ კვირა დღეებში აღკრძალა მუსიკის დაკრა საზოგადო შესაკრებელს ადგილებზედ. რაღა თქმა უნდა, რომ სამიკიტნოები, ყავახანები, ღუქნები, თეატრები და სხვა ამ გვარი ადგილები კვირას მაგრად კარ-ჩაკეტილები უნდა იყვნენ. ისკი არა, დილა-სალამობით, როცა ლოცვად დგას ინგლისის სამღვდლოება, კვირა დღეებში სასადილო სასტუმროებიც კი ჩაკეტილია აქ. შოველივე გართობა და დროების ტარება ინგლისელს ხალხს კვირა დღეს შეუძლია მხოლოდ თავის ოჯახში—თავის ცოლ-შვილში და ახლობელ ნათესავ-ნაცნობებში. არც ბაზრობა, არც ვაჭრობა, არც სხვა რამე საქმე-სამუშაოები დღეს აქ არ არის ნება-დართული. მართი სიტყვით ინგლისელი ყოველ კვირა დღეს ისე მოწიწებით და მტკიცედ უქმობს, როგორც ჩვენში თვით აღდგომასაც არ დღესასწაულობენ. მერსად ამ დღეს ვერ შეხვდები აქ ვერც ერთს სცენას ლოთობისა და ცუდ-უბრალოდ ხეტიალისას. წირვა-ლოცვაზე სიარული, საღმრთო წერილის ან სხვა რამე რელიგიურ სარწმუნეობრივი სულის სასარგებლო წიგნების კითხვა, დამხედებული და ფხიზელი მოსვენება ექვსი დღის დაუტყრომელი შრომის შემდეგ კვირაში—აი რა შეადგენს ინგლისელის კვირა დღის დროს გატარებას. შეშმაჩტად ესენი ასრულებენ ღვთისაგან ნაბრძანებ მცნებას მეშვიდე დღეზედ.





მერ ვიტყვი, რომ ამ გვარი განკარგულება ინგლისის მმართველობისა კვირა დღეზედ რამოდენიმედ მაინც არ ავიწროებდეს ხალხის თავისუფლებას და არ აკლებდეს მას ზოგიერთ კანონიერ კმაყოფილებათა. მერ ვიტყვი, რომ ეს განკარგულება გადაჭარბებული არ იყოს. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ეს განკარგულება დიდად სასარგებლო და საკეთილოა ინგლისის მკვიდრთათვის. ინგლისში ნამეტნავად დაბალი, შავი ხალხი ისეთი თავდაუტყვერელი და ზომიერებას გარდასულია ლბინ-შექცევაში, ჭამა-სმაში და ქეიფობაში, რომ სწორედ დიდ სიბრძნეს იჩენს იქაური მართებლობა ესრეთი განკარგულებით კვირა დღეების უქმობის შესახებ. თუ ესეთი აღვირბი არ აედვა მართებლობას აქაური შავი ხალხისათვის, სწორედ დიდი უბედურობა დასტრიალდებოდა მათში თავდაუტყვერლობისა გამო ლობობასა და ქეიფობაში. მაშასადამე კვირა დღის უქმობას აქ დიდი ზნეობითი გამასწორებელი მნიშვნელობა აქვს ხალხის ცხოვრებაში. ამასზედ ნაკლები არც ნივთიერი მნიშვნელობაა ამ დღის უქმობისა. ინგლისელები მეტის-მეტე მშრომელი ხალხია: ინგლისელი, ვით ფუტკარი ყვავილს, მარადის თავს დასტრიალებს რაიმე საქმეს და ოფლის წლრვითა და ჭაპასწყვეტითსცდილობს ყოველს წამს გამორჩეს რასმე; — დრო ფულის მადანიაო, ამბობს იგი და სცდილობს თითოეული წამი ფულად აქციოს. მსრეთი მშრომელი ხალხი, რასაკვირველია, ძლიერ იქანცება და იღლება ექვსი მუშა დღის განმავლობაში კვირაში; მეშიდე დღე-კვირა სწორედ საჭიროა მხოლოდ დასვენებისათვის, საჭიროა მისთვის, რომ დაქანცულმა, დაღალულმა ხალხმა კვალად შეიკრიბოს ძადა, მოითქვას სული და შემდეგ კვირაში ხელ-მეორედ მიჰყოს ხელი თავის საქმეებს, ხელ-მეორედ შეუდგეს დროის მადენად გადაქმნას. მაგრამ ხალხი, თუ რომ მართებლობა არ მიშველებოდა, დაღალულობას არ მიხედავდა და ამ დღეს, მიეცემოდა რა ქეიფსა და ლობობას, კიდევ უფრო დაიქანცებოდა და დაუძლურდებოდა. ამ შემთხვევაში მართებლობა დიდ გამდლობას უწყევს ხალხს, რომელიც, უნდა ვთქვად საქმებურად მისა, დაღ მტკიცედ და სრულის მორჩილებით ასრულებს ყოველს მისს დადგინებას.

ჩვენზედ ინგლისი ძლიერ შორს არის და იქაური კვირა დღის უქმობა ჩვენთვის მაინცა და მაინც არაფრად საინტერესო იქმნებოდა, რომ სწორედ ერთი განკარგულებას კვირა დღის უქმობაზედ ჩვენ-

შიაც დიდი სარგებლობის მოტანა არ შეეძლოს. მართალია, ჩვენი ხალხი დიდი შრომით მაინცა და მაინც თავს არ იტყენს, რომ დასვენება საჭიროდეს მეშიდე დღეს, და არც მაგდენს გამოელის დროიდგან, — მაგრამ ეს ხომ მაინც ცხადია, რომ ამ გვარი ფიცხელი უქმობა ჩვენში კვირა-დღისა ბევრს ასწავლიდა ეკლესიის კარებს, ააშორებდა სამიკიტნოებში ლობობას, ტყულა-უბრალოდ ხეტიალს, ავკაცობას, ერთმანეთის ჩეხას, ცარცვას და შეიძლება, კაცთა კვლასაც. მერე ეს ცოტა სიკეთე იქმნებოდა ხალხისათვის! ზოგიერთები სამიკიტნოებიდამ მოელიან სახელმწიფოს გამდიდრებას!..

**მაგრამ უიპრავი სოფლის მღვდლისა.**

წარსული წლის ივლისის თვის თოთხმეტს, კიევში ჩემი მყოფობის დროს, პიევის ლავრის საკურთხეველში ღამის თვეით ცისკარის შესრულების დროს შემოვიდა ორი აბესინელი კაცი თეთრ ჩაღრებში გახვეულნი. მათ თან შემოყვათ ერთი შუათანა ტანის და ძლიერ საიჭვო სახის კაცი, რომელსაც რუსის ყაზახის ტანისამოსი ეცვა. ამ უცხო კაცების შემოსვლაზე შეიქმნა ერთი ჩურჩული და მითქამოთქმა. — «აი ჩვენი ატამანი აშინოვი, ამბობდა ერთი, იგი დიდად შესანიშნავი კაცია! იცით, ბატონო, რა ჰქმნა მან? აბსინიაში რუსების კალონა დაარსა და სახელად მოსკოვი უწოდა; ერთი სიტყვით მან დიდი ადგილები დაიპყრო იქ და იქაური ველური ხალხიც დაიმორჩილა. მას ნეგუსთან დიდი შეგობრობა აქვს და დიდი გავლენაც აქვს არაბეთში»...

მეორე დღეს, 15 ივლისს, ყველას სურდა შეეხება აშინოვისთვის. მანსაკუთრებით სამხედრო უწყების ზოგიერთნი პირნი უახლოვდებოდნენ აშინოვს და მასთან ერთად ხელი-ხელს გაყრილი დასვირნობდნენ. ამ დროს ხალხში ხშირად მოჰკრავდით ყურს შემდეგ სიტყვებს: «აქ რა უნდა ამ კაცს? მანა მავის ადგილი აქ არის? როგორ ბედავს იგი ამისთანა საზოგადოებაში გარეყას» და სხვა.



ჰველა ჩვენმა მკითხველებმა არ იცან, ვგონებთ, ბ. აშინოვის ვინაობა და ამიტომ მეტი არ იქმნება ორიოდ სიტყვა მოუთხრათ მათ ამ საყურადღებო პირზე. აშინოვი არის ქალაქ სარიცინის მცხოვრებთაგანი; მას ღონის ყაზახების წოდება არასოდეს არ ქონებია. მან თავისი ცუდი და ურიგო ცხოვრებით ისრე მოაბეზრა ყველას თავი რუსეთში, რომ იქ მისი დადგომა აღარ შეიძლებოდა. ამიტომ ბ. აშინოვმა განიზრახა რუსეთის განაპირა მხარეებში წაეარღობა. მობრძანდა იგი აფხაზეთში და ამ უკანასკნელს რუს-ოსმალის ომის წინ კარგა ხანს იწავარდა აფხაზეთში. შემდეგ გასწია აბისინიაში, საიდანაც მობრძანდა ტიფში რუსების ნათლის-ღების 900 წლის ღღესასწაულობის დროს. ბ. აშინოვმა დაარწმუნა აქ ყველანი, რომ აბისინიაში დიდ ძალი ადგილები დავიფლგო და თუ დამეხმარებით, მთელს არაბეთს დავიკავებთ და ხომ მოგეხსენებათ ზოგიერთი პირების გულგუზობა! აშინოვმა გაიტენა ჯიბეები, ამოიჩნია ერთი ასიოდე პირი და მათთან ერთად გაემგზავრა აბისინიაში. ბევრი უკზო-უკვლოდ სიარულის შემდეგ აშინოვმა აბისინიის ერთ მხარეში, რომელი მხარეც თურმე დიდის ხნიდგან საფრანგეთის მფარველობაში იყო, აღმართა მან თავისი დროშა!.. აშინოვის ამ გვარმა მოქმედებამ გამოიწვია დიდი მიწერ-მოწერა რუსეთის და საფრანგეთის მთავრობის შორის. ამ მიწერ-მოწერათაგან ნამდვილად გაიგო ყველამ, თუ რა კაციც ბრძანებულა აშინოვი. შეიტყვეს აგრეთვე, თუ რა მისიონერი და ერმაკი ყოფილა იგი. ამ გმირს შესაფერად იხსენიებს როგორც თვითონ ჩვენი მთავრობა, ისე საზოგადოება.

ჩვენ მხოლოდ ერთი რამე გვაკვირვებს. ნუ თუ საზოგადოება ასე თვალ-ახვეული იყო და დღემდისინ არ იცნობდა აშინოვს? ნუ თუ საზოგადოება არ არის დაარწმუნებული იმაში, რომ იმ კაცს, რომელშიაც არ არსებობს კეთილ ზნეობა და სარწმუნოება, არავითარიმე კეთილის გაკეთება არ შეუძლია? ნუ თუ კიდევ არა სჯერა ვისმეს, რომ ის კაცი, რომელიც წიადავ თავის სმა-ჭამაზედ ფიქრობს, წიადავ გლეჯაკარცვაზე აქვს თვალი გამოხელილი, რომელსაც არასოდეს აზრათ არ მოსელია საზოგადო და მამულის საქმეებზედ ზრუნვა, ვერასოდეს მამულის-შვილობას ვერ გაუწევს ვერც სახელმწიფოს და ვერც თავის მემამულეთა!.. როგორ შეგვიძლია მამულის შვილობა მოვითხოვოთ იმისთანა გაუზრდელი კაცისაგან,

რომელსაც თავის ტუჩის და კუჭის მეტი არასფერი არ ახსოვს ქვეყანაზე.

ღმერთმა მშვიდობა მისცეს აშინოვს და მისგან დაარსებულს «მოსკოვის» კალონას აბისინიაში და არაბეთში. ჩვენ მხოლოდ ის გვაწუხებს, რომ ამისთანა აშინოვები ჩვენშიაც ბევრი არიან. მსწუხეართ, რომ ეს აშინოვები რუსეთის ხალხს სახელს უტყენ და ცუდ აზრს ბადავენ მათზე საზოგადოებაში. ზგიერთებს მართალი ჰგონიათ, რომ რუსეთის მართებლობა და საზოგადოება თანაუგრძობდეს მათ აშინოურს აზრებს და მიმართულებას. მარწმუნებთ ყველას, რომ ამისთანა ფიქრი და მოსაზრება უსაფუძვლო და უმართლოა.

მაგრამ ჩვენ უცხოელი «თავისუფალი აშინოვების» საქციელი ისე არ გვაწუხებს, როგორც საკუთარი ჩვენი მიწის შეაღების — თავისუფალი აშინოვები. ჩვენშიაც ხომ ბევრი არიან, სამწუხაროდ, ამისთანა «აშინოვები!» მართი აშინოვი გვირდება ჩვენ, რომ იგი შემოუერთებს საქართველოს ნახევარ ძონსტატინოპოლს დარდანელის სრუტით, ხალკიდონიას, მაკედონიას და მქსალონიკეს ათონის მთით. ამავე დროს რუსებს რას პირდება, ამას ვინ მოსთვლას. რუსეთის ერცელო სახელმწიფოს ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში გარბის-გამარბის გულზე ხატ ჩამოკიდებული და ყველას ცრემლით ემუდარება: «მიშველეთ, ხელი გამამართეთ, შემწეობა აღმომიჩინეთ და მე ვიცი რას ვიზამო. ბერძენს გავრეკავ საბერძნეთიდან და მას საქართველოს შემოუერთებო.» წმ. სახარებაში სწერია: მიეციოთ მოწყალება ვინც გთხოვოს და ნუ განიკითხავ მის ვინაობასო. ამის მიხედვით ყველანი აძლევენ ამ კაცს ფულებს. მსეც მიდის და ამ გვარად შეკრებილი ფულებით თავის ნათესავების სახელზე ყიდულობს წისქვილებს, მამულებს და ეგქსილებით ასენსებს ფულებს. და თუ ჰკითხეთ: ნათესავების სახელზე რათ ჰყიდულობთ მამულებსაო, თამამად მოგიგებს: მონასტროს სახელზე წასყიდობა არ შესრულდება და ამიტომ ჩვენი ნათესავების სახელზე ყიდულობო. აი როგორ იხარჯება მორწმუნე ხალხში მოკრებილი ფულები და რა დანიშნულება ეძლევა მას. მე არე ჩვენი «აშინოვი» თავის თავს ივერიელს უწოდებს, მაგრამ გარწმუნებთ, რომ როგორც ზემოთ მოხსენებული აშინოვი არ ეკუთვნის ყაზახების ჩამომავლობას, ისე არც ეს ჩვენი «აშინოვი» ეკუთვნის ქართველთა ტომს. მს აშინოვიც კი ძალ ფულის ჰკრებს ხალ-



ხში, ერთი და საქართველოს დანგრეული მონასტრების შესაკეთებლად და გასამშენებლად. არც იმას ვიტყვი, რომ საზოგადოებაში ამგვარად მოკრეფილს ფულებს მთლათ თერთნ ხარჯავდეს თავის თავზე. არა; ასი მანეთიდგან ათ მანეთს ზარების ლუსკუმების და ეკლესიების შემკობისათვის ხარჯავს და ოთხმოც-და-ათ მანეთს თავის სასარგებლოდ. ღრთა ამისთანა კაცებს ჯეროვანი ყურადღება მიექცეს და მოესპოთ მათ მორწმუნე ხალხის კუთვნილების ასე ბოროტად მოხმარება.

### ახალი ამბები და შენიშვნები.

შწმინდეს სინოდს უცნობებია ეპარქიის მღვდელთ-მთავრებისათვის, რომ მათ უწმიდესი სინოდის ნება-დაურთავად არ აკურთხოვდნენ მღვდლად ის პირნი, რომელთაც ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლებში სწავლა არ დაუმთავრებიათ, და რომელნიც ირცლებიან ზურგის ჯარში. პირველად მღვდელ-მთავრებმა ამ პირთა კურთხევა უნდა აცნობონ უწმინდეს სინოდს, სადაც უნდა წარადგინონ ცოცხლივე საშუალები მღვდლად საკურთხეო პირისა. უწმინდესი სინოდი თავის მხრით აცნობებს ამ საქმეს სამხედრო მინისტრს, რომელზედაც დამოკიდებულია მღვდლად საკურთხეო პირის ზურგის ჯარადგან განთავისუფლება. როცა სამხედრო მინისტრი განათავისუფლებს მღვდლად საკურთხეო პირს ზურგის ჯარისგან, უწმიდესი სინოდი აცნობებს ამას მღვდელ-მთავრს, რომელსაც ნება ეძლევა აკურთხოვს მღვდლად ზემოთ აღნიშნული პირი.

\*\*\*

უწმიდეს სინოდთან არსებული სამოსწავლეობა ჩივდა, როგორც იწერებოდა ერთ რუსულ გაზეთში, ამ მოკლე დროში განიხილავს ერთ კითხვას, რომელიც შეეხება საერო სკოლების სასულიერო წოდების

მხედველობაში გადასვლას. ამასთანავე გადაწყდება, თუ როგორ გადააკეთონ საერო სკოლები, რომლებიც მოშორებულნი არიან სოფლის ეკლესიებიდან, საეკლესიო სკოლებად, სადაც სწავლება უნდა სწარმოებდეს ადგილობრივ მღვდლის მხედველობასა ქვეშე.

\*\*\*

ღმედის ის პირნი, რომელნიც სასულიერო აკადემიებში სახელმწიფო ხარჯით იზრდებოდნენ, სწავლის დამთავრების შემდეგ ვალდებული იყვნენ ოთხი წელიწადი ემსახურნათ სასულიერო უწყებაში, და თუ ამას არ ისურვებდნენ, მაშინ 700-800 მანეთი აკადემიის სასარგებლოდ უნდა გადაეხადათ. ღმედს უწმიდეს სინოდში აღუძრავთ კითხვა, რომ ზემოდ აღნიშნული პირნი განათავისუფლონ ამ ვალდებულებისგან და ნება მისცონ მათ, რათა თავის სურვილისაებრ აღირჩიონ სამსახური, რომელ უწყებაშიაც სურთ, რადგამ ასეთივე განკარგულება არსებობს საისტორიო-ფილოლოგიურ ინსტიტუტში და სხვა სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულ პირთა შესახებაც.

\*\*\*

ჰეტეროჯენის ანტიკლოგიურს ინსტიტუტს, რომელიც მისი იმპერატორებითა უმადლესობის, დიდის მთავრის სერგი ალექსანდრეს ძის უაგუსტოეს მფარველობისა ქვეშე იმყოფება, თავის ერთ კრებაზე ამა თავის შეიღეს, თავის საპატიო წევრად აღუწვევია მისი მძალე ფოკლად უსამკვედელობა საქართველოს ექსარხოსი, მთავარ-ეპისკოპოსი პალადი იმა ძელგაწობისათვის, რომელსაც მათი მეუფება იჩენს, რათა დაიცვას ძველი დროის შესანიშნავი ისტორიული ნაშთნი საქართველოს საეკლესიოში.

\*\*\*

კანსის სამხედრო სობორის ახალს წინამძღვარს მ. დეკანოზს ბორშის ღვთის-მსახურების დროს შემოუღია, რომ ზოგიერთი ასამაღლებლები და ეპიტენიება წამომსთქვან სოღმე ქართულს ენაზე. აგრეთვე ქართულადვე იკვლავობს ზოგიერთი საკვანძობლები. მ. დეკანოზის ბორშის ასეთ მოქმედებას კაი შთაბეჭდილება მოუხდენია კანსში მცხოვრებ ქართველებზე, რომლებიც დღეს დიდის სამძვრებით დაიარბიან სობორში, სადაც აქამოდე მათ ღვთის-მსახურებისა არსებობა არ ესმოდათ.

# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ- ღნსეობაზე

## სიტყვა,

მართლ-მადიდებლობის კვირიაკისა ზედა.

სხვა უფროსი სინარული ამისსა არა მაქვს, რათა მესმოდეს შეიღოთა ჩემთა ჭეშმარიტებით სგლათი (3 იოან. 1, 4).

დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ, მართლ-მადიდებელნი ქრისტიანნი, მართლ-მადიდებლობას! და რაზედ უფრო საჭირო და შესაფერია დღეს სიტყვა, თუ არ მართლ-მადიდებლობის ჭეშმარიტებაზე? წმიდა ეკლესია მისდამი ლეთის-მიერ მონიჭებული უფლებით დღეს აღიდებს რა მართლ-მადიდებელი სარწმუნოების ერთგულთა, კურთხევით იხსენებს მათთაც და ყველა მორწმუნე ქრისტიანეთაც; ხოლო მეორეს მხრით, თუმცა დიდის მწუხარებით, მაგრამ აგრეთვე საჯაროდ წარმოსთქვამს იგი მრისხანე წყევას მათზე, რომელნიც სრულიად ურწმუნონი არიან, გმობენ და უარს ჰყოფენ მართლ-მადიდებლობას. ბარნა მართლ-მადიდებელი ეკლესია ესრედ მოქმედობს იმ კეთილი და მაცხოვრებელი მიზნით, რათა სტყეს მათ უფაღმა სინანული მეცნიერად ჭეშმარიტებისა და განაფრთხან სიფრხისა მისგან კშმაკისა (2 ტიმ. 2, 25 25). ვინაიდგან სხვა უფრესი სინანული ამისსა, — ვიტყვი მოციქულის სიტყვებით, არა მაქვს, რათა მესმოდეს შეიღოთა ჩემთა ჭეშმარიტებით სგლათი.

მინ აღგია მართლ-მადიდებლობას და ვინ დამი-  
სახურებს წმ. ეკლესიისაგან ქებას და კურთხევასა, და ვინ, წინააღმდეგ ამისა, განემორა მასს და დაადგა

ურწმუნოებისა და უსჯულოების გზასა და ამ-გვარად მიეცა ეკლესიის წყევასა და განდევნას?

მართლ-მადიდებლობას აღგია იგი, ვინც აღიარებს ქრისტეს წმიდა სარწმუნოებას, აღიარებს არა მარტო სიტყვითა და ენით, არამედ საქმიითა და ჭეშმარიტებითა (1 იოან. 3, 18), ისრე, როგორც გვასწავებდა წინამძღვარი, სრულუბის მოქმედი (ებრ. 12, 2) მოძღვარი სარწმუნოებისა ჩვენისა, უფაღმა იესო ქრისტე.

მართლ-მადიდებლობას აღგია იგი, ვინც მიიღებს ქრისტეს სარწმუნოებას იმ სახით, როგორც გადმოგვცეს და განგვიმარტეს ჩვენ იგი წინასწარმეტყველებმა და მოციქულებმა თავიანთ საღმრთო წიგნებში: აღშენებულთა, ვეთხულობთ წმ. სამოციქულოში მორწმუნეთა ზედა, საფუძველსა ზედა მოციქულთასა და წინასწარმეტყველთასა, რომელსა თაკსაკადუჭთათა მისთა არს თვით ქრისტე იესო (ეფეს. 2, 20).

მართლ-მადიდებლობას აღგია იგი, ვინც მტკიცედ და შეურყვევად იცავს ყველა დოგმატითა და უმთავრეს ჭეშმარიტებათა შესახებ სარწმუნოებასა და კეთილ-მსახურებისა, ვისაც სრულიად და ნამდვილად სწამს ყველა ის, რაც მიღებულია, დადგინებული და დამტკიცებული წმ. კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიისაგან, და უარსა ჰყოფს ყოველსა, რაც უარყოფილია მისგან; ვინაიდგან ეკლესია არის სკეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისა (1 ტიმ. 3, 15). ნეტარ არიან სულნი მორწმუნენი, წმიდანი და უბრალონი, არა უფრეს ბმნებდენ უმეტეს წესისა მას (რომ. 12, 3) და რომელნიც ეკლესიის ხელ-მძღვანელობას თავის ნებით ემორჩილებიან და ყოველივე მის მცნებას უცილოდ მიიღებენ!

მართლ-მადიდებლობას აღგია იგი, ვინც ცდილობს, რაც შეიძლება, ერთგულად და კრძალვით ისარგებლოს ქრისტეს საიდუმლოებითა, სცდილობს აღასრულოს წმიდა მცნებანი, იცხოვროს სათნოებით, წესისაებრ ეკლესიისა, ვინც ხშირად და ერთგულად ლოცვილობს ღმერთს, ინახავს დღესასწაულთა და კვირა დღეთა, ჯვართა და ლოცვით იწყებს და ათავებს ყოველ კეთილ საქმეს; ვინც ეკლესიის და

გენილობისაებრ იცავს მარხვათა და ეკლესიის სხვა კანონმდებლობათა. რამოდენად სამწუხაროა, რომ დღეს მრავალი მართლ-მადიდებელი, გატაცებულნი ცრუ სწავლითა, არ ასრულებენ და სრულიადაც არაფრად არ აგდებენ ეკლესიის წესდებსა და ამ ნაირად არცხვენენ მართლ-მადიდებელი ქრისტიანეს მაღალ წოდებას.

მართლ-მადიდებლობას ადგია ის, რომელიც არ სცილდება სარწმუნოების ერთობას, ეკლესიასთან კავშირს და რომელიც არ დაადგება მწველებლობისა და უსჯულოების გზასა ზედა, არ უარჰყოფს კანონიერ მწყემსობას და ემორჩილება ყოველივე მას, რაც შეეხება სულის ცხოვნებას, სიტყვისაებრ საღმრთო წერილისა: **დაქმნაჲნიით წინამძღვართა თქვენთა და ეჩნდით მათ** (ებრ. 13, 17). ამიტომ მწველებელი და ყველა მათი მზგავსნი განდგომილნი, რომელთაც გასწყვიტეს წმიდა კავშირი სარწმუნოებისა, არ ემორჩილებიან ღვთისგან დადგენილ მთავრობათა და კანონთა, ამაოდ ატყუებენ თავიანთ თავს, ვითომ ისინი ჭეშმარიტებას აღიარებენ. ბანემორნენ რა წმ. მართლ-მადიდებლობას, ისინი შთაფარდნენ დამლუბველსა და უაზრო ამაო-სიტყუაობაში, სიტყვისაებრ მოციქულისა: **უნდა მათ, წათამც იყვნენ სჯულის მოძღვარ და ანა იტყუენ, ანცა წასა იგი იტყუიან ანც ვიეთათვის დახმტკიცებენ** (1 ტიმ. 1, 7); ჭეშმარიტად განზრქა გუფი ერისა ამის და ეუწითა მათითა მამეჲდ ისმინენ, და ყველანი მათნი დაიწუნეს ნუ უკვე ისილან თვალითა, და ეუწითა ისმინან და გუფითა გუფის ხმა უან და მოიქნენ და განგუწნენ იგი (ესა. 6, 10).

მართლ-მადიდებლობას ადგია იგი, ვინც არა თუ იწამებს ქრისტეს წმ. სწავლას გონებითა და გუფით, არამედ აღვიარებს ამა სარწმუნოებას ბაგითა თვისითა საჯაროდ და უშიშრად ყოველთა წინაშე, ყოველს ადგილზე და ყოველს დროს, როდესაც ამას მოითხოვს საჭიროება. მსრეთი ქრისტიანე ყველაფერს ქვეყანაზე უცქერის ცხოველის და მომქმედის სარწმუნოების თვალითა. ურწმუნო და ცდომილ

პირებთან შეხვედრის დროს იგი თავის მოვალეობათ რაცხს დაიცვას მის მიერ აღიარებული ჭეშმარიტებანი და არას შემთხვევაში არც სიტყვით და არც საქმით არ უღალატებს თავის ჭეშმარიტ რწმენას.

მართლ-მადიდებლობის ყველა ესრედ მოშურნეთა და მიმდევართა, ყველა კეთილ მორწმუნეთა და კეთილ-მსახურთა ზედა ეკლესია მისდამი ღვთიემინიჭებული უფლებით დღეს ბრწყინვალედ წარმოსტქვამს კურთხევას, რომელსაც შეუერთებს მხურვალე ლოცვას მათზე ღვთის წინაშე.

მაგრამ მეორეს მხრით ეკლესია ღრმად სწუხს და დიდის სევდით მოცულია თავიანთ ურჩთა, მოუღრველთა და ურწმუნოთა შეილთა ზედა! ისილე უფალო, — თითქო გოდებს იგი წინასწარ-მეტყველთან ერთად, **წამეთუ მჭიბვე იქმნეს ძენა ჩემნი განჭარკებულ, წამეთუ განძლიერდა მტერი ჩემი** (გოდ. იერემ. 1, 16 და 20). ეს დამლუბველნი ძენი არიან ღვთის მგმობელნი, რომელნიც უარსა-ჰყოფენ ღმერთსა და მის განგებულებას ქვეყანაზე, არ აღვიარებენ წმიდა სახარებას — მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, არა სწამთ ღვთაება უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი და გამოხსნა ჩვენი მისი ჯვარცმითი სიკვდილითა, არაფრად მიაჩნიათ მაღლი სულისა წმიდისა და ღვთაებრივი საიდუმლოანი, ამცირებენ ღვთის-მშობლის ღირსებას, არ ემორჩილებიან წმ. ეკლესიასა, ეწინააღმდეგებიან ხელმწიფეს, არა სჯერათ უკვდავება სულისა, მომავალი საშინელი განსჯის დღე, საუკუნო ცხოვრება და სხვა. ყველა ამ გვარს ბოროტსა და უსჯულო მწველებლობასა და ცრუ-სწავლათა წინააღმდეგ ეკლესია დღეს მრისხანეთ და მდგრად აღამაღლებს თავის ხმას და მუსრავს მათ შეჩვენებით.

ასეთსავე საშინელს განსჯას მიეცემიან დღეს აგრეთვე ყველა უსჯულონი, რომელნიც სცხოვრებენ ბიწიერად და უწმიდურად, სრულის დაუდევნელობით, შეუწინებლად და რომელთაც არა აქვთ სურვილი მოიქნენ სათნოების გზაზე. ამ შემთხვევაში ეკლესია იქცევა თანახმად მოციქულის სიტყვებისა: **რამელსაც ანა უგვარდეს უფალი იესო ქრისტი**



ჩვენს, იუჯან შეჩვენებულ (1 კორ. 16, 22). ხოლო რომელ მიმე ცოდვილს და უსჯულოს უყვარს უფალი? ძველი აღთქმის ეკლესიაც სასტიკად შეაჩვენებდა სჯულის წინააღმდეგთა: უკეთუ აწა ისმინათ თქვენ ხმაი უფლისა ღვთისა თქვენისა, დამარხვად და ყოფად უოკელთა მტნებათა მისთა, რამელთა ესე მე გამტნებ შენ დღეს: და მოაწინენ შენსუდა უოკელნი ესე წყაპნი და გზოვონ შენ (მეორე სჯ. 28, 15).

სასჯელსა და განსჯას მიეცემიან ღღეს ყველა ბოროტნი და შეუბოვარნი მწვალებელნი და მათი მზგავენნი განდგომილნი, რომელნიც თაეის ნებით განეშორნენ ქრისტეს ეკლესიას და შესწყურტეს საღმრთო კავშირი სარწმუნოებისა. თერთ უფალმა სთქვა: ხალა უკეთუ გინმემ ეკლესიისა აწა ისმინოს, იუჯან შენდა, ვითარცა მეზვერე და წარმართი (მათ. 17, 17). შემტდართა მწვალებელთა არა ისმინეს ხმა ეკლესიისა, არა ყურად-იღეს დარიგებანი მისნი და აწა ეკლესია, მტკიცე აღმასრულებელი უფლის ბრძანებისა, განდევნის თაეისაგან და შეაჩვენებს მათ.

ზოგიერთებმა, როცა გაიგონებენ ღღეს ანათემას, შეიძლება სთქვან შეშფოთებით: ფიცსკელ აწს სატყუა ესე (იოან. 6, 60)! და რა მიზეზია, რომ ეკლესია ღღეს სცელის თაეის ჩვეულებრივს სიყვარულის ხმასა და წარმოსთქვამს შეჩვენებას? მართლაც მსჯავრი, აწ წარმოსთქმული ეკლესიისაგან, არის საშინელი მსჯავრი, მით უმეტეს, რომ შეკრულნი ამა ქვეყანაზე იმავე დროს, ღვთის უცვალებელი მსჯავრისაებრ, კრულ არიან ცათა შინა: რადენი შეკრათ ქვეყანასა ზედა, კრულ იუჯან იგი ცათა შინა (მათ. 18, 17). ღიახ, საშინელი და შემადრწუნებელია ძალა შეჩვენებისა! ასეთს ფიცხელს ზომას ეკლესია ხმარობს იმ კეთილის აზრით, რათა ყოველი ჩვენგანი მოეგოს გონებას, ყოველივე ღონის ძიებით ეცადოს განეშოროს მამაკედნიებელ ცოდებათა და ღვთის ბოროტ მგმობელ სწავლათა, რომელთაც ეკლესია შეაჩვენებს. ეკლესია, რადგან მას არასურს დაღუბვა არც ერთისა ურჩისა შვილისა თვისისა, ზრუნავს მასზედ, რათა ყველანი მოეგონ გონებასა ქვემარტებისასა და

მიეცნენ სინანულსა, შემოუერთდენ სარწმუნოებასა და ეკლესიას.

ქოვლად მოწყალეო მაცხოვარო უფალო! მოხედენ ზეცით შენი მოწყალების თვლით ერსა შენსა. ღიაცვე იგინი ყოველივე ბიწიერებათაგან, დამღუბველ მწვალებლობათაგან, რათა იმყოფებოდეს იგი — შეურყვეველად ღვთაებრივ ქვემარტებასა შინა შენსა. ამინ.

გ ე დ ა ქ ც ი ა ს ზ ა ს უ ხ ი ა .

მღვდელს ღ. გო—მეს. ძლიერ კარგს იხამო, რომ ბევრ სხვა-და-სხვა სიტყვა-მოძღვრებათა წაიკითხავდეთ. შემდეგ უფრო გაგიაღვიღებთ სიტყვის დაწერა.

მოსე ნ—შვილს. გარწმუნებთ, რომ გაზეთის სტატია არაფერს გიშველის მოწმობის მიღების საქმეში.

გ—გი ტყ—შვილს თქვენ კორრესპონდენციაში ბზვანის სკოლის შესახებ ყურადღების ღირსი არასფერია.

თ. ნ. გ—ნია. თქვენი წერილი არ იბეჭდება.

ექ—მე მ—მე. თქვენს ლექსში ჩვენ ლექსი ვერ ვხვანეთ. არ იბეჭდება.

მღვ. კ—ნე გურგენიძეს. თუ სასძლო და სასიძო სხვა სარწმუნოების არიან, რასაკვირველია, არ შეიძლება, რომ მართლ-მადიდებელი აღსარების მღვდელმა მათ გვირგვინი უეუოთხოს.

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი .

## ი ს უ ი ლ ე ბ ი ა ნ

დეკანოზი დავით ლამბაშიძისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში: ბრიჭუროვის, ჩარკვიანის და ცენტრალურ წიგნის მაღაზიებში, შუთაისში: ძმ. შილაძეების წიგნის მაღაზიაში, შვირთლასში: თვით გამოცემელთან და ხონში: წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

### საქართველო-სსსრ-ის

ისტორია,

ფასი უფრო—ცხრა შური

### ქართული ლოცვანი,

თვეთა მეტყველობით, ქორონიკონით და მართლ-მადიდებელი ეკლესიის უმოავრესი დღესასწაულების ისტორიული მოთხრობით.

ფასი უფრო 30 კ. და უფრო 45 კ.

### ახალი ვარაზდინი

ფასი ერთი მანეთი.

ეს წიგნი განხილული და ნება დართულია კავკასიის საეპიშოპოსოსისაგან.

მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო.

### სახელმძღვანელო წიგნი,

ფასი უფრო ხუთი შური.

ახალი სასულიერო კონსისტორიათა

### წესდებულება,

ფასი უფრო—50 კ. და უფრო 40 კ.

## მ ც ხ ე თ ი ს ტ ა ძ ა რ ი

და

### წმიდა ნინო,

ქართველთა განმანათლებელი

სურათებით ფასი 25 კ.

## გ ა ე ნ ა თ ი ს მ ო ნ ა ს ტ ე რ ი

და ცხოვრების ადწერა მეფის

დავით აღმაშენებლისა.

ფასი ექვსი შური.

წმ. მოწამენი დავით და კონსტანტინე

მოწამეთის მონასტერი

ფასი 5 კაპიკი.

სარწმუნოებრივი და ზნეობრივი შინაარსის და სახალხო საკითხავი წიგნაკები:

ვასილი დიდი, სურათით—ფასი . . . . .	2 კ.
მირკმა უფლისა, ,, ,, . . . . .	2—
დიდ-მარხვის წინ, ,, ,, . . . . .	2—
ხარკმა უფროად წმიდა დავითის-მშობლისა, სურათით . . . . .	2—
ბოგობა სურათით . . . . .	2—
ალღობა სურათით . . . . .	2—
პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან . . . . .	5—
მეფე სოლომონ-ბრძენი, სურათით . . . . .	5—
ცხოვრების ადწერა წმ. მოც. სწორის დიდის მთაპრის ვლადიმირისა . . . . .	2—
წმიდა ნინო ქართველთა-განმანათლებელი შიშ-მღვიმის მონასტერი და ცხოვრების ადწერა ღირსისა მამისა ჩვენისა შიშისა . . . . .	5 კ.

ვინც ზემო აღნიშნულ წიგნებს გამოიწერს არა ნაკლებ ერთი თუმნისა, მას მანეთზე დაეთმობა სამი შური.

ვინც 2 კ. წიგნაკებს დაიბარებს არა ნაკლებ ასი ცალისა, ის ფოსტის გასაგზავნად არ იხდის.



მიიღება ხელის-მოწერა 1889 წლისათვის ორ-კვირულ გამოცემათა კაბითულს

# „მ წ ე მ ს ზ ე დ“

ღ

რუსულ «П А С Т Ы Р Ь»-ზე

მიზანი და დანიშნულება განეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდლო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახორციელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გააერცლოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გააერცლოს საქართველოს სამღვდლო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდლო და საეკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეკლესიო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა, ზემოხსენებულის პროგრამის აღსრულების გარდა, არის—1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო «მწყემსი»-ში დაბეჭდილ სტატიებსა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაზოგებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

## ფ ა ს ი გ ა ზ ე თ ი ს ა :

- 12 თვით «მწყემსი» 5 მ. | 6 თვით «მწყემსი» 3 მ.
- ,, ორივე გამოცემა ,, — ,, ორივე გამოცემა 4 ,,
- ,, რუსული ,, 3 მ. | — ,, რუსული ,, 2 მ.

რედაქცია იმყოფება ქ. თბილისში საღვთის ქუჩაზე, მარკაროვის სახლებში.

რედაქციას აქვს კანტორები: ქ. შუთისში ხანანაშვილების სახლებში და დ. შეირილაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც რედაქციაში, ისე კანტორებში.

გარეშე მცხოვრებთა გაზეთის დაბარება შეუძლიათ ამ აღრესით: Въ Квирилу, въ контору редакціи „МЦЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

წელიწადი II სამეურნეო გაზეთი წელიწადი II

# „მეურნე“

## გამოცემის კვირაში ერთხელ.

გაზეთი „მეურნე“ მომავალ 1889 წ. გამოიცემა იმავე პროგრამით და სივრცით, როგორც ამ 1888 წ.

გ ა ზ ე თ ი ს ზ ა ს ი

თბილისში		თბილისს გარეშე	
1 წლის . . . . .	4 მან.—	1 წლის . . . . .	5 მან.—
1/2 — . . . . .	2 — 50	1/2 — . . . . .	3 —

ცალკე №—15 კ.

ზანცხადებანი მიიღება გაზეთში დასაბეჭდად ყველა ენაზედ, სტრიქონი 10 კაპ. უკანასკნელს გვერდზედ, და 20 კ. პირველ გვერდზედ. გაზეთის დაკვეთა შეიძლება: ძავეკასიის სამეურნეო საზოგადოების კანცელარიაში, ჩარკვიანის მალაზიაში და თვით რედაქციაში: რეუტის ქუჩა, სახლი № 10.

ძალაქს გარეშე მცხოვრებთ უნდა მიმართონ რედაქციას შემდეგის აღრესით: Тифлисъ, въ редакцію «Мәурна».

3—3

შინაარსი: ნასწავლი პირების მკვლად დანიშნავს მიუტაცებლად ითხრეს მრეკლასიან, რომ მათ კრებულისათვის ეკვლევიებთან აღაშენონ რიგანი შენობები, — ემაწვილების აღზრდა ქრისტიან სწავლისამებრ. — «მწყემსი»-ს კორრესპონდენტია შარაზის მწერადან. — საყურადღებო შენიშვნა. — გვირგვინის უქმობა. — მწარე თვითრება. — ახალი ამბები და შენიშვნები. — სიტუკა საქართველოს ექსპანსიის, მთავარ-გაბრიელის საღვთისა დიდმარხვის პირველ კვირიაკეზე. — რედაქციის მასუხი. — განცხადება.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. დამბაშიძე. *Доз. цензурою, 27 Февраля 1889 г.*

საკუთარი მსწრაფლ-მეჭდავი რედაქციისა.